



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყიშვილის ქ. N40 Tel: +995 349 21 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.akhmeta@ge.gov.ge

№ 3

06 / თებერვალი / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა(ა)იპ. "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით ააიპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" გადაცემის შესახებ შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებზე:

ა) მძალი გამავლობის ავტომობილი, მარკა - TOYOTA, მოდელი 4-RUNNER, გამოშვების წელი 2004, რეგისტრაციის ნომერი - QQ471SS, რეგისტრაციის თარიღი - 15/12/2016.

2. განკარგულება გადაეცემა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გამსაზღვრული წესით და ამოქვეყნდეს გამოცემებისთანავე.

3. განკარგულების გასაზივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



გელა ჯუღაშვილი